

# საგზაბათი

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ  
სპორტულ საზოგადო-  
ებათა და ორგანიზა-  
ციების ქვეყნისა და  
პროლეტარებო ყველა  
კომუნისტურ ქვეყნისა  
კომუნისტურ საზოგადო-  
ებო ქვეყნისა  
კომუნისტურ საზოგადო-  
ებო ქვეყნისა

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ სრულად რუსეთის ტურისტთა II შეკრების მიმართვის საბჭოთა კავშირის ყველა ტურისტისადმი. ეს მოწოდება ცოტა მოგვიანებით იბეჭდება, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: მასში ძირითადად გათვალისწინებულია 1961 წლის ტურისტული სეზონი და ამ პერიოდში ჩასატარებელი ღონისძიებანი.

მაგრამ, ახე ვთქვათ, რიგითი, ჩვეულებრივი მიზეზის გარდა მოწოდების გამოქვეყნებას ჩვენს გაზეთში სხვა, უფრო სპეციფიკური მიზანდასახულებაც აქვს: იგი წარმო-

ადგენს ერთგვარ ადრეულ სიგნალს ჩვენი რესპუბლიკის ტურისტული სექციებისადმი და უფრო კონკრეტულად — საქართველოს ტურიზმის ფედერაციისადმი იმისათვის, რომ ახალ სეზონში ადგილი აღარ მქონდეს შარშანდღის მსგავს მოვლენებს, ქაოტიურობას მუშაობაში, თვითღიწობაზე მიშვებას; შარშან

როგორც ფედერაციამ, ისევე მთელმა რიგმა სექციებმა ძალიან ცოტა იმუშავეს ტურიზმის ჰუმანიტარულ მასობრივ სპორტად გადაქცევისათვის, ძალიან ცოტა რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ტურიზმს უშუალოდ გაეკვლია გზა წარმოება-დაწესებულებებისაკენ, ძირითადი კოლექტივებისაკენ და უკან გაეყოლებინა მა-

სეტი, მოსწავლე-ახალგაზრდობა, მუშა-მოსამსახურენი.  
ჩვენ ვამბობთ „ახალ სეზონს“, მაგრამ სრულდებითაც არ შემოვფარვლავთ მას გაზაფხულ-ზაფხულის სეზონით. საქართველო ისეთი ბუნებრივი პირობების რესპუბლიკაა, რომ აქ ტურისტული მუშაობა უნდა ჩქოვდეს შეუწყვეტილად, მთელი

წლის განმავლობაში, იმის მიუხედავად, მშრალი ზამთარი ვაჰქვს, თუ თოვლიანი, აი, ამიტომაც არის მიზანშეწონილი ზემოაღნიშნული მოწოდების გამოქვეყნება; იმითმ, რომ მან ამთავითვე მისცეს ბიძგი, საფუძველი ჩაუყაროს სრულად ახლებურ, ჰუმანიტარულ მონომენტულ მუშაობას როგორც ფედერაციაში, ისე სპორტსაზოგადოებებსა და ძირითად კოლექტივებში.  
ამრიგად, სიტყვაც და საქმეც ჩვენი რესპუბლიკის ტურისტებზე, მათს ხელმძღვანელებზე!

## ყველა, ყველა, ყველა!

### ლიდერობს ბ. სპასკი

საკავშირო საჰაერაო ჩემპიონატზე გათამაშდა რვა ტური. პირველ ადგილზეა გროსმაისტერი ბ. სპასკი, რომელიც თამაშობს მეტად თანაბრად, კარგად იყენებს მეტოქეთა შეცდომებს. მხოლოდ ერთხელ, გროსმაისტერ გელერთან შეხვედრისას სპასკიმ წასაგები პოზიცია მიიღო, მაგრამ მდგომარეობა იხსნა ვინაიდან მისი მანევრით. მას ექვსი ქულა აქვს.

მეორე ადგილზეა გროსმაისტერი ვ. სმისლოვი, რომელსაც 5 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია აქვს. ჭრჭირობით მხოლოდ სპასკი და სმისლოვი იბრძვიან წაუგებლად. ტურნირში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა ოსტატმა ლ. შტეინმა, რომელიც თამაშობს ზინალში. მან ზედიზედ დაამარცხა ტ. პეტროსიანი, ა. ლუტკოვი და ა. ბანიკი. ამჟამად შტეინი მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ ვ. კორჩინოსთან. მათ 5 ქულა აქვთ. 4,5 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია აქვს ტ. პეტროსიანს. სპასკისთან მეშვიდე ტურში დამარცხების შემდეგ გაიუარესა მდგომარეობა დ. ბრონ-შტეინმა, რომელსაც ამჟამად 4,5 ქულა აქვს. დანარჩენი მონაწილეების მდგომარეობა გაურკვეველია გადადებული პარტიების დიდი რაოდენობის გამო.

ყურადღებას იპყრობს გროსმაისტერი მ. ტაიშანოვის მეტად წარუმატებელი თამაში. მან 3 პარტია წააგო, ამასთან სამივეში თეთრებით თამაშობდა, რაც სრულად უჩვეულოა მისთვის.  
გუშინ ტურნირზე დამთავრდა გადადებული პარტიების გათამაშება.

### ვ. ბორისენკო — ბ. ზაზულოვსკაიას მეტოქე

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ქალთა შორის პირველი-მეორე ადგილები გაიანწილეს ოსტატებმა ვ. ბორისენკომ (სვედლოვსკი) და ტ. ზატულოვსკაიამ (ბაქო). მათ შორის დაინიშნა მატჩი 6 პარტია საგან ჩემპიონის გამოსავლინებად.

პირველ პარტიაში გაიმარჯვა ვ. ბორისენკომ.

### სრულიად რუსეთის მეორე შეკრების მონაწილეთა მოწოდება

ძვირფასო მეგობრებო!  
ჩვენ, ტურისტთა 1960 წლის სრულიად რუსეთის მეორე შეკრების მონაწილენი, შევიკრიბეთ ჩვენი ქვეყნის მომხიბვლელ კუთხეში — სამხრეთ ურალზე, ბაშკირეთში, ბელორეციის რაიონში. აქ ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებდით მუშაობის გამოცდილებას, ვამტკიცებდით რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ტურისტთა მეგობრობას. აქედანვე მოგმართავთ თქვენ ამ მოწოდებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ შეიღწეული საზოგადოების დასახული დიდი გეგმები რომლებსაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს, ითვალისწინებენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრებელ ამალღებას, ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უფრო მოკლე საშუაო დღის და საშუაო კვირის დადგენას. ეს ქმნის ახალ უდიდეს შესაძლებლობებს მშრომელთა ფართო მასების მოზიდვისათვის ფიზიკურ კულტურაში, სპორტსა და ტურიზმში.

არ არის მსოფლიოში ჩვენს სამშობლოზე უფრო ვრცელი, მდიდარი და ღამაში ქვეყანა. უსაზღვროდ მრავალმხრივი და დიდებულია მისი ბუნება. აურაცხელი განძეულობა ინახება მის წიაღში. ყოველმა საბჭოთა ადამიანმა კარგად უნდა იცოდეს და მუდმივად სწავლობდეს ამ სიმდიდრეებს.

საუკეთესო გზა სამშობლოს განცნობისათვის ესაა მოგზაურობა,

ექსკურსიები და ლაშქრობები ჩვენს ქვეყანაში. მათ არა მხოლოდ შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ, არამედ, ამასთან ერთად, განამტკიცებენ ჯანმრთელობას, გვასწავლიან სიძნელეთა გადალახვას. ლაშქრობებში იძირება კოლექტივიზმის, ამხანაგობისა და ურთიერთდახმარების გრძობა. აი, რატომ გახდა ტურიზმი აქტიური დასვენებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყვარელი სახე.

კავკასიისა და ყირიმის, კარელიის ყელისა და ვოლგისპირეთის, ურალისა და ციმბირის, მოსკოვის განაპირა და ალტაის მომხიბლავ კუთხეებში ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები ლაშქრობენ და მოგზაურობენ, ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას ტურისტულ შეკრებებსა და შეჯიბრებებში.

პროფკავშირებში ტურიზმის განხრით მუშაობის გარდაქმნა ახალ შესაძლებლობებს ხსნის სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის. ჩვენი ამოცანაა ხელი შევეწყუთ ამ გარდაქმნას ისე, რომ მან მოგვიტანოს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა და ტურიზმიც ჰუმანიტარულ მასობრივად გახდეს.

მხარს ვუჭერთ რა „ირკუტსკა-ლუმიწინის“ ახალგაზრდა მუშების წამოწყებას, რომლებიც გამოვიდნენ ლოზუნგით „1+2“, ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა ტურისტს 1961 წლის პერიოდში აქტიური მონაწილეობა

მიიღონ მშობლიურ ქვეყანაში მოგზაურობაში მოწყობაში, ყოველი მათგანი გახდეს დასვენების დღის არანაკლებ ათი ლაშქრობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, მხოვრვად მონაწილეობა მიიღოს ტურისტული ბანაკების შექმნაში.

შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობისას ყოველმა ტურისტმა უნდა აითვისოს აუცილებელი ცოდნა ტოპოგრაფიისა და გეოლოგიის, აიმაღლოს თავისი საერთო და გეოგრაფიული კულტურა.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა ტურისტს აქტიურად ჩაებან შეიღწეული გეოლოგიურ ლაშქრობაში, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ გეოლოგებს წიაღისეულ სიმდიდრეთა გამოვლინებაში. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ტურისტს მონაწილეობა მიიღონ მასობრივი ტურიზმის განვითარებაში საუკეთესო სექციის გამოსავლენად კონკურს-დათვალიერებაში და თავისი წვლილი შეიტანონ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანის — 1965 წლისათვის ტურისტთა რიცხვის 25 მთლიანად გაზრდის განხორციელებაში.

ტურიზმი მშრომელთა აქტიური დასვენების ერთ-ერთი ფორმაა. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და დავისვენოთ კომუნისტურად!

მიღებულია სრულიად რუსეთის ტურისტთა მეორე შეკრებაზე.

### ვ. რეკნაპელი არ დალაგოს გრადისიას

მას შემდეგ, რაც დამთავრდა „ასტრო-გერმანიის ოთხი ტრამპლინის ტურნი“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა გამართეს თავიანთი ქვეყნის საქმოდ დიდი შეჯიბრება — სამი ტრამპლინის ტურნი.

არც ამ შეჯიბრებაზე უღალატა ტრადიციას ვ. რეკნაპელმა. მან სამი ტრამპლინის ჯამში მოაგროვა 671,5 ქულა და დაიკავა I ადგილი. ეს შეჯიბრება გდრ-ს სპორტის მოყვარულებისათვის იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ხანგრძლივად შეხვედრის შემდეგ ხტომებს დაუბრუნდა კორტინა დამპეცის ოლიმპური თამაშების პრიზიორი ვ. გლასი, რომელმაც მეხუთე ადგილიც დაიკავა მეორე ტურში.

### ორი ჩემპიონატი

კუბიშევსა და გორკში გაიმართა ჩვენი ქვეყნის მორიგი ჩემპიონატები ციგურაობაში. ქალები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ კუბიშევში. სპრინტერულ დისტანციაზე (500 მეტრზე) ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი ვ. სტენინა, თ. რილოვა და ლ. სკობლიკოვა, მაგრამ ყველაშვიტის მრულოდნელად ოქროს მედლის მფლობელი გახდა ა. ტუხოვა, რომელმაც 0,4 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა თ. რილოვამ — 47,9.

1500 მ დისტანციაზე უძლიერესი აღმოჩნდა ვ. სტენინა, რომელმაც აჩვენა 2.31,2, რაც ჩვენი ქვეყნის რეკორდია ბარის, საციგურაობისათვის და მოიზოვა ჩემპიონობა. სტენინა კარგად გამოვიდა მეორე დღესაც და კლდე ერთი პირველი ადგილი მოიზოვა მრავალქილში.

გორკში, სადაც სტარტზე გამოვიდნენ ვაჟები, პირველივე დღე აღინიშნა ახალი მსოფლიო მიღწევით 5000 მეტრზე. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. კოსიჩკინმა აჩვენა 8.0,2 წამი, რაც 2,1 წამით აღემატება ძველ მსოფლიო მიღწევას, რომელიც ომსკელ ნ. შტელბაუშს ეკუთვნოდა.

500 მ დისტანციაზე ოქროს მედალი არავის დაუთმო ე. გრაშინმა, რომელმაც ამ უმოკლეს მანძილზე 42,2 აჩვენა და 0,2 წამით აჯობა სემბალატინსკელ ვ. ნიკიტოვს.  
ვაჟთა შორის ოთხი დისტანციის ჯამში გამარჯვებული გამოვიდა ვ. კოსიჩკინი.



**ჩვენი ბავშვის რედაქცია თხოვს ტანვარჯიშის მწვრთნელებს, სპორტსმენებს და ღვინოვანებს პიროვნებას გამოთქმან აზრი რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის შემდგომი აღმავლობის გზების შესახებ!**

ცნობილია, რომ ერთ დროს საჭარბოდ გუნდი ტანვარჯიშში სპორტის აღმავლობის იკავებდა საქართველოში შეიქმნა პროგრამა, მაგრამ უკანასკნელი მ წლის განმავლობაში წარმატებულმა საგარეოდად იქცა, თუმცა ბავშვთა ნაკრები გუნდი და მისი წევრები ამჟამად წლებში სპორტულად გამხდარან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები.

ვინაიდან მოზრდილთა გუნდი, როგორც წესი, თავის შევსებას ძირითადად ბავშვთა გუნდებიდან

ღებულადაა, თავისთავად იბადება აზრი, რომ ჩვენი მწვრთნელები ვერ აძლევენ შესაფერის პროგრესს ნორმალურ ტანვარჯიშებს, ფუტბალს, ხარჯვენს მათს ტალანტს. არის ისეთი ფაქტებიც, როცა ჩვენი მოზრდილთა გუნდი ღებულადაა ნიჭიერ ახალგაზრდა ტანვარჯიშელებს (მაგ. მ. ნინოშვილი, ი. ბალიაური და სხვანი), მაგრამ მათი შემდგომი ზრდა საგრძნობლად ფერხდება. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში ჩვენი რესპუბლიკიდან ახალგაზრდა ტანვარჯიშეებია რაოდენობა სულ უფრო და უფრო მცირდება.


ჩვენ არ უნდა გავმავლებდეს ის წარმატებებიც, რომლებიც ბავშვთა გუნდს გააჩნია, ვინაიდან არსებობს აზრი, რომ ამ გუნდის წევრები ზოგჯერ უკმაყოფილოდ აღწევენ ჩემპიონობას, მაგრამ შემდგომ მაღალ დონეს ვეღარ ინარჩუნებენ, იმიტომ, რომ ნაადრევად არიან გადაყვანილი ოსტატობის პროგრამაზე, წინამორბედი მასალა აუთვისებელი აქვთ, ხოლო საუკეთესო სკოლა — გაუფლვით. საკითხები, რომლებსაც უფრო შევხებით, ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვენ, მაგრამ ერთი რამ უდავოა: როგორც ბავშვებთან, 10-11 წლის ასაკიდან დაწყებული, ისე მოზრდილებთან, ნაკრები გუნდის ჩათვლით, ერთნაირად საჭიროა ასაკისა და მომზადებულობის შესაფერისი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მა-

# სპორტული სპეციალისტები

ღალხარისხიანად წარმართვა. უამისოდ ვერ აღვზრდით ისეთ ტანვარჯიშეებს, რომლებიც შეძლებენ სსრ კავშირის მოწინავე ოსტატობაში ჩადგომას.

ბავშვებთან სპორტულ ტანვარჯიშში მეცადინეობას დაახლოებით 10 წლის ასაკიდან იწყებენ, მაგრამ ეს სპორტული სპეციალიზაცია უნდა წარმოადგენდეს ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების პროცესს.

ჩვენი მწვრთნელები, აგრეთვე სპეციალიზებული საშუალო სკოლების მასწავლებლებიც კი ხშირად უგულვებელყოფენ ბავშვთა



გვიძლია მოვიტანოთ ის ამბავი, რომ სსრ კავშირის მრავალჯერ ჩემპიონი გ. შაგინიანი თავის სამშობლოში საკუთარი ინიციატივით უდიდეს შრომას ეწევა და 10.000-ზე მეტ ბავშვს სინჯავს იმ მიზნით,

ხოვას, მურატოვას. ვისაც ჩემპიონების მიერ ვარჯიშების შესრულება არ უნახავთ, საჭიროა ეს კონსულტაციებიდან შეისწავლოთ და წაბადოს. ისევე როგორც ეს იაპონელებმა გააკეთეს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც რომ მხოლოდ წაბადვა აღარ იკმარებს, თორემ სულ მალე ისევ ჩამოვრჩებით.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი ნაკრები გუნდის წევრების მიერ ნებისმიერი ვარჯიშების შედგენის საქმე. ჩვეულებრივ ამ ვარჯიშებში, გარდა ყველასათვის ცნობილ ილეთებისა და ნაერთებისა, ახალს ან საინტერესოს ვერას ნახავთ. ჩვენი

ძნელის ვარჯიშები. ამჟამად დროს საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ფიზიკური თვისებათა განვითარების (ძალა, მოქნილობა, ამტანობა და სხვ.) ის მეთოდიკა, რომელიც ახლა მიღებულია ჩვენს ნაკრებ გუნდში.

მოზრდილთა ნაკრები გუნდისათვის უშრეტო და საუკეთესო რეზერვების აღზრდის მიზნით ახლაც უნდა შედგეს ღებულადაა პროგრამა სპეციალიზებული სკოლებისათვის და ბავშვთა სპორტ-სკოლების ტანვარჯიშული განყოფილებებისათვის, სასწავლო-საწვრთნელი მასალისა და ყველა იმ მო-

თხოვნათა გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი რეზერვების შექმნას.

## დავიბრუნოთ საპრიზო ადგილები

ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარების საქმეს. ამას აღსატურებს ის ფაქტიც, რომ ასეთ სკოლებს არ გააჩნიათ საკმაო რაოდენობით ტანვარჯიშული კედელი, კიბე, ბაგირები, ლატანები, ბურთები, ჯოხები, გურჯები, ორიბრთვები, და სხვ.

უხარისხოდ მიმდინარეობს კლას-გარეშე მუშაობა ტანვარჯიშულ ჯგუფებში. მწვრთნელები არ აქცევენ საკმარის ყურადღებას ბავშვთა მიერ ტანის სწორად დაკავების ჩვევის ჩამოყალიბებას, არ უნდა გავიწყდეთ მოძრაობათა კარგი გემოვნების და საუკეთესო სტილით შესრულების სურვილს, გადაწყვეტ დნელი პროგრამის შესწავლაზე წინამორბედი მასალის მაღალხარისხიანად ათვისების გარეშე. ამიტომ ხდება, რომ თუმცა ჩვენი ტანვარჯიშეები ოსტატობის თანრიგს აღწევენ, მაგრამ შესრულების ხარისხით დიდად ჩამორჩებიან მოწინავე ოსტატთა კლასს და ასეთი ხარვეზების გამოწვრება შემდგომში თითქმის შეუძლებელი ხდება.

ფართოდაა ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დაბალ კლასებში ნიჭიერ ტანვარჯიშეთა შერჩევას და მათთან დაკვირვებულ მუშაობას. მაგრამ იშვიათი როლია, როცა სპეციალიზებულ სკოლებშიც კი მწვრთნელი ასეთ შერჩევას ანდობს სხვებს, ხოლო თვითონ გაკვეთილებს უფროს კლასებში ატარებს. საწინააღმდეგო ფაქტად შე-

რომ მათგან შეარჩიოს ნიჭიერები. შესაძლოა, ჩემპიონის აღზრდისათვის ჩემპიონის ტიტული სავალდებულო არ იყოს. ბ. შახინისა და ლ. ლატინინის აღზრდელს ა. მიშკოვს, მაგალითად, ჩემპიონის ტიტული არა ჰქონია, მაგრამ მას ჰქონდა წარმატებათა მოსაოვებლად აუცილებლად საჭირო საქმის სიყვარული, ცოდნა, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა.

ამიტომ არის საჭირო კარგად შევისწავლოთ ტანვარჯიშში მომუშავე კადრები იმ თვალსაზრისით, რომ შერჩეული იქნენ შესაფერისი მწვრთნელები. კარგ მწვრთნელებს უნდა ახსიათებდეთ თვითონ ცოდნის სისტემატური განახლებისა და შევსების სურვილი, უნდა ახსოვდეთ, თუ რა უფრო ფასობს ახლა საქართველო სარბიელზე. პ. სტოლბოვის მიერ 1958 წელს სავალდებულო ვარჯიშის შესრულება დერძე იმღევა იმის კარგ მაგალითს, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს გაქვეითი ხასიათის ვარჯიშები. ა. აზარიანის მიერ რგოლებზე ნებისმიერი ვარჯიშის შედგენა და მისებრ შესრულებაც სამაგალითოდ უნდა იქნას მიჩნეული. აღმზრდელმა თვითონ მოწოდებებს უნდა გამოუმუშაოს ისეთივე ნებისყოფა, როგორითაც გამოირჩევა ბ. შახინი, მაღალის ვარჯიშების ისეთივე დახვეწილობით შესრულებას, როგორიც ახსიათებს ლატინინს, ასტა-

ოსტატები ამ მათთვის „ახალ“ კომბინაციების შესწავლაზე დიდ დროს ხარჯვენ, მაგრამ საქართველო სარბიელზე მინც ვერ გამოირჩევიან ვერც კომბინაციის ორიგინალობით, რაც აქ ფრიალ მაღალ შეფასებას ჰპოვებს, და ვერც სხვებზე უკეთესი შესრულების ტექნიკით. საჭიროა მოწინავე გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შექმნათ ახალი, ეფექტიანი და არანაკლები სი-

მწვრთნელებისა და მასწავლებლებისათვის სრულიად ნათელი უნდა გახდეს ის, თუ რა მოეთხოვება მათ. და თუ ოდესღაც ერთმა სკოლამ ა. ბაქრაძის ხელმძღვანელობით გამოავლინა და აღზარდა გამოჩენილი ოსტატები, ჩვენმა სპეციალიზებულმა სკოლებმა მეტი უნდა შეძლონ.

**დ. ჩიკვაძემ,**  
სპორტის დამასპურებელი ოსტატი.

## პარტი სამე გაკეთდა

**გ. შილაია,**  
საქართველოს სსრ მთავარი მწვრთნელი ტანვარჯიშში, სსრკ დამასპურებელი მწვრთნელი

მომდინარე წლის იანვრის პირველ ნახევარში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ჩატარა ბავშვთა სპორტსკოლების ტანვარჯიშის განყოფილებისა და სპეციალიზირებული საშუალო სკოლების მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ათ-ღიანი სემინარი.

სემინარი მოიხმინა რესპუბლიკის 23 ქალაქისა და რაიონის 83 მწვრთნელ-მასწავლებელმა. სემინარს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს წამყვანი სპეციალისტები აკრობატიკაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში: გ. ბაბილოძე, ს. ჯიანი, ნ. მახვილაძე, ო. ჯაკიაშვილი, ნ. სალუქვაძე, თ. ზურაბაშვილი და სხვები.

გარჩეულ იქნა ახალი ერთიანი საქართველო საკლასიფიკაციო პროგრამები მე-3, 2, 1-ლი და ოსტატთა თანრიგის ქალებისა და ვაჟებისათვის. დიდი ადგილი დაეთმო ჭოროგრაფიისა და აკრობატიკის შესწავლას, სემინარის მსმენელებს გადაეცათ სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ რეკომენდირებული ქალთა პროგრამებისა და კომპოზიტორ ლ. იაშვილის მიერ გათა პროგრამისათვის სპეციალურად დაწერილი მუსიკის ნოტების ფოტოასლები, გ. ბაბილოძის მიერ თარგმნილი მეთოდური მასალა ტანვარჯიშის საერთო ფიზიკური მომზადების შესახებ. ე. მესხიშვილის მიერ შედგენილი ევროპული და ქართული ცეკვითი კომბინაციები და მათი სწავლების მეთოდიკა, ვ. გოგიაშვილის მიერ შედგენილი გაკვეთილის პირველი ნაწილის მასალა მომეცადინეთა ასაკობრივი და თანრიგობრივი ჯგუფებისათვის. ლექციებს თან ახლდა სასწავლო კონოფილმები. სემინარის ხელმძღვანელობის მონდობამ და გულისყურმა უზრუნველყო პროგრამის

მის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის მაღალ დონეზე ჩატარება, და მსმენელთა დიდი ინტერესი.

კომისიამ ფრიადი შეფასება მისცა 15 მსმენელს, რომელთა შორის არიან: მ. წილოსანი (ლანჩხუთიდან), ა. დიდიშვილი (შუგღიდან), გ. კობაძე (გორიდან), ე. დარსაველიძე (ქუთაისიდან), ც. ხარბელია (სოხუმიდან), ს. ზურაბოვი, თ. ქოთავა და რ. კირვალიძე (სამივე თბილისიდან), 32 მწვრთნელმა კარგი შეფასება მიიღო.

სამწუხაროდ, სემინარის ყველა მსმენელი როდი მოეცა საქმეს სეროზულად. ლექციებს აცდენდნენ თბილისელები ტ. გაჩეილაძე, თ. ბარკაია, ე. გაგოშიძე, ზ. ჩხეიძე, გასაოცრია, რომ ტანვარჯიშში სპეციალიზირებული თბილისის საშუალო სკოლების უფროსი მწვრთნელები შ. კაკაურიძე, გ. დღინტი, ა. ავალიანი და შ. ნარიძე არცერთხელ არ დასწრებან სემინარს, თუმცა იგი მათ სხვებზე ნაკლებად არ სჭირდებოდათ.

სემინარის დასასრულს მწვრთნელ-მასწავლებლებს რესპუბლიკაში ტანვარჯიშის მდგომარეობისა და მწვრთნელ-მასწავლებელთა ამოცანების შესახებ ესაუბრა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ვ. სისარულიძე.

სემინარმა ორგანიზებულად ჩაიარა და კარგად გადაჭრა მის წინაშე დასახული ამოცანა. კარგი საქმე გაკეთდა. სასურველია განათლების სამინისტრომ შემდეგშიც გაუწიოს აეთივე პრაქტიკული დახმარება მწვრთნელ-მასწავლებლებს ტანვარჯიშში, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს რესპუბლიკაში სპორტსმენ-თანრიგოსების მომზადების ხარისხს.



**სპორტში:** წარსულში საბჭოთა კავშირის საუკეთესო ტანვარჯიშე, ამჟამად მოწინავე მწვრთნელი ნ. თაყაიშვილი (მარჯვნივ) თავის ცოდნას გადასცემს ახალგაზრდობას.



### გავშვთა ბაგა სტალიონზე

ამ რამდენიმე წლის წინათ გულ-  
უთში აშენდა სტალიონი. იგი ერ-  
თადერთი ბაზა რაიონის სპორტს-  
მენთა ნორმალური ვარჯიშისათვის.  
მაგრამ მას მეტად ჭირვეული მე-  
ზობელი გაუჩნდა ბავშვთა ბაგის  
სახით. ამ დაწესებულების ხელმ-  
ძღვანელები არაფრად აგდებენ  
სპორტსმენთა სურვილს, სულ ხში-  
რად მოედანნი დაფარულია სარე-

ცით, ხოლო მათი ავტომანქანები  
აფუტებს სარბენ ბილიყებს.  
გულდაუთის სპორტკავშირმა ამის  
შესახებ ბევრჯერ განაცხადა პრო-  
ტესტი. ბაგის გამგეს დ. შაქრაის  
დაევალა ბაგის სტალიონიდან გა-  
მოყოფა, მაგრამ ამოდ, სარეცხი  
კვლევა ფრაგმენტებს სტალიონზე, ხო-  
ლო მანქანების საბურველები  
უწყალოდ თბიან წვითა და დაგ-  
ვით დატყვენილ სარბენ ბილიყებს.

**სურათში:** ასე გამოიყურება  
სტალიონის კალათბურთის მოე-  
ლანი.  
ფოტო და ტექსტი ვ. სემიონოვისა.



### ბათუმი

დამთავრდა სპორტსაზოგადოება  
„სპორტის“ აჭარის საოლქო საბ-  
ჭოს სპორტკლავი, პროგრამაში შე-  
დიოდა სპორტის 8 სახეობა, მაგი-  
დის ჩოგბურთში, კალათბურთსა  
და მძლეოსნობაში გამარჯვებს  
ადგილობრივი მრეწველობისა და  
კომუნალური მეურნეობის მეშაქ-  
თა პროფკავშირების წარმომადგენ-  
ლებმა. სროლაში უძლიერესნი  
აღმოჩნდა — სახელმწიფო დაწესე-  
ბულებთან პროფკავშირის კოლე-  
ქტივი, ფრენბურთსა და ჭადრაკ-  
ში — პირველ ადგილზე გამოვიდ-  
ნენ სახელმწიფო ვაჭრობისა და  
სამომხმარებლო მეშაქთა პროფ-  
კავშირების მეშაქთა გუნდი.  
საერთო პირველი ადგილი შოი-  
პოვა ადგილობრივი მრეწველობის-  
სა და კომუნალური მეურნეობის  
მეშაქთა პროფკავშირების სპორტ-  
სმენებმა.

**ი. კუსიდი**

### ლანჩუთი

რაიონის საიუბილეო სპორტკლავი  
და ერთ თვეს მიმდინარეობდა. მო-  
ნაწილოდ მდინარეების განა-  
ყოფილების, „კოლმეურნის“, „გა-  
ნთიადია“ და „სპორტის“ ნაკრე-  
ბი გუნდი.

პირველი გუნდური ადგილი  
დაიკავა განათლების განყოფილე-  
ბის ნაკრებმა კოლექტივმა.  
**ი. აბრალიძე**

### საშური

საშურის რაიონის სპორტსაზოგა-  
დოება „ლოკომოტივი“ მიიღო ახა-  
ლა სპორტული დარბაზი. დარბაზს  
საზეიმოდ გახსნასთან დაკავშირებით  
ჩატარდა ამხანაგური შეჯიბრებები  
ქართულ, თაყისულ და კლასი-  
კურ ტილობაში, სამბოში, კალათ-  
ბურთში, ტანვარჯიშში, ჭადრაკსა  
და მაგიდის ჩოგბურთში.  
**ი. ტლაშაძე**

## სპორტსა და შრომაში

გახდენენ. კარგი შედეგები აქვს ვე-  
ლობრბოლის სექციას, რომელმაც  
ექვს გუნდს შორის გამართულ  
შეჯიბრებაში ამიერკავკასიის რე-  
ნიზის პირველობაზე პირველი  
ადგილი მოიპოვა.

თავიანთ კოლეგებს არც ფრენ-  
ბურთელები ჩამორჩებიან. მათ  
წაუგებლად ჩაატარეს ამიერკავკა-  
სიის რეინიზის პირველობა და  
თასაც მოიპოვეს.

ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებ-  
ლებში დიდი პოპულარობით სარ-  
გებლობს ფეხბურთი. თითქმის  
ყველა საამქროშია შექმნილი გუნ-  
დები. მიმდინარე წელს გამარ-  
თულ სპორტკლავზე შეჯიბრება

**ი. ბოლქვაძე**

### თბილისის ჩემპიონატი

თბილისის რესპუბლიკურ საქა-  
ლრაკო კლუბში დაიწყო დედაქა-  
ლაქის 1961 წლის ჩემპიონატის  
გათამაშება ქალთა შორის. მასში  
მონაწილეობენ პირველ თანრი-  
გოსნები ლ. ნაწყებია, ქ. გოგიავა,  
მ. ჩომახიძე, ს. ივანოვა და სხვე-  
ბი, სულ 17 მოკადრიაკე.

უკვე გათამაშებულია ხუთი  
ტური. შეჯიბრებას ლიდრობს  
ქ. გოგიავა, რომელმაც ყველა პა-  
რტია მოიგო. მას ერთი ქულათ  
ჩამორჩება ნაწყებია, 3,5 ქულა  
აქვს ჩომახიძეს, კახაბრიშვილს  
აქვს 3 ქულა (ოთხიდან).



**სურათში:** თბილისის „დინა-  
მოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნ-  
დის მეკარე, სპორტის ოსტატი ს.  
კოტრიკაძე ვარჯიშის დროს.

### კრივიკისა და თვითკრივიკის ნიშნით

განვილო კვირას შედგა თბი-  
ლისის ფეხბურთის აქტივის კრე-  
ბა, რომელმაც მოისმინა საქალა-  
ქო სექციის პრეზიდიუმის თავმ-  
ჯდომარის გ. ჩხიკვაძის საანგარი-  
შო მოხსენება.

მოხსენებელმა — დამსწრეთა  
ყურადღება განსაკუთრებით გა-  
ამახვილა სექციის მუშაობის  
ნაკლოვან მხარეებზე, იმ სა-  
ერთო ხარვეზებზე, რომლებსაც  
ჭერ კიდევ აქვს ადგილი რეს-  
პუბლიკის დედაქალაქის საფეხბუ-  
რთო ცხოვრებაში. მან ხაზი გა-  
უსვა, რომ თბილისში ფეხბურ-  
თმა ვერ პოვა სათანადო მასობ-  
რიობა და განვითარება, ფეხბურ-  
თულ კოლექტივების გუნდე-  
ბის საერთო კლასი ვერ ბასუბობს  
სადღეისო მოთხოვნებს, იგრძნო-  
ბა სტალიონებისა და საფეხბურ-  
თო მინდვრების დიდი ნაკლებო-  
ბა, არასთანადო სიმძლავრე  
დგას სასწავლო-საწვრთნელი მუ-  
შაობა, რის შედეგადაც თბილის-  
ში გუნდები დაბალი შედეგებით გა-  
მოდიან რესპუბლიკურ ღონისაი-  
ებებში.

დღე ინტერესით იქნა მოსმე-  
ნილი სპორტის დამსახურებული  
ოსტატის ა. ყორდანის გამოსვლა.  
მან ილაპარაკა მთელ რიგ სა-  
ჭირობოტო საკითხებზე და მათ  
შორის აღნიშნა, რომ არასწორად

დგება როგორც საქალაქო, ისე  
რესპუბლიკურ შეჯიბრებათა კა-  
ლენდარი. ჩვენში ფეხბურთის  
თამაში შეიძლება თითქმის მთე-  
ლი წლის განმავლობაში, შეუწყ-  
ვეტლივ, ხოლო კალენდარი შეჯი-  
ბრებებს ითვალისწინებს მხოლოდ  
ზაფხულში, როცა მეტად ცხელი  
ამინდებია. ამიტომაც, რომ დე-  
კემბრიდან მოყოლებული აპრი-  
ლამდე ჩვენს სტალიონებზე სა-  
ფეხბურთო ცხოვრება ჩამკვდარია,  
თუმცა ამინდი თამაშების ჩატა-  
რების საუკეთესო საშუალებას  
იძლევა.

სპორტის დამსახურებულმა ოს-  
ტატმა ბ. ბაიქაძემ ძირითადად  
ილაპარაკა ბავშვის ნაკლებობა-  
ზე. — ქალაქი შენდება, იზრდე-  
ბა, სულ უფრო კეთლმოწყობე-  
ლი ხდება, — თქვა მან, — მაგ-  
რამ არავინ ფიქრობს იმაზე, რომ  
მოსახლეობას სჭირდება სპორ-  
ტული ბავშვები და სტალიონები,  
რომ არაფერი ვთქვათ ნორმალ-  
რი ზომის მინდვრებზე, აღარ დარ-  
ჩა სულ მეტრე ზომის მოედნე-  
ბიც, სადაც ბავშვებს შეუძლებათ  
საკუთარი ინიციატივით ითამაშონ  
ბურთი. ასეთ მოედნებზე ათეული  
ათასობით ბავშვი უნდა თამაშობ-  
დეს, რომ მათგან აღზარდოს შე-  
საფერისი ცვალი ოსტატთაგან.  
ქაბუჯთა შორის ფეხბურთის

განვითარებაზე გამახვილა ყურა-  
დღება სსრ კავშირის დამსახურე-  
ბულმა მწვრთნელმა დ. ცომიაძემ.  
მოზარდთა შორის ფეხბურთის  
გავრცელებაზე, ქაბუჯ ფეხბურთე-  
ლთა კლასის ამოღებაზე დიდა-  
და დამოკიდებული დიდი რეზერ-  
ვების შექმნის საკითხი „ა“ და  
„ბ“ კლასების გუნდებისათვის.  
ამიტომ მწვრთნელებმა, სპეცია-  
ლისტებმა ყველაფერი უნდა გაა-  
ეთონ იმისათვის, რომ ქაბუჯთა  
ფეხბურთი ჩვენში განუხრელი  
პროგრესის გზით მიდინდეს წინ.  
ფეხბურთის რესპუბლიკური ფე-  
დერაციის პრეზიდიუმის თავმჯ-  
დომარემ გ. ჯინჭარაძემ დამსწ-  
რეებს მიუთითა იმაზე, რომ ქა-  
ლაქში არსებული ფასიანი მწვრ-  
თნელების, მსაჯების, სპეციალის-  
ტების დიდი ნაწილი არ ესწრება  
აქტივის კრებას. თუნდაც მარტო  
ეს ფაქტი საკმარისია იმის ნა-  
თესაყოფად, რომ ის ნი არასაკ-  
მარისი კეთილსინდისიერებთ ეკ-  
ვრობიან მათზე დაკისრებულ საქ-  
მებს.

და მართლაც, აქტივის კრებაზე  
დასწრება მათ პარდაბირ მოვა-  
ლეობას შეადგენს, მით უმეტეს,  
რომ კრება ჩატარდა ჯანსაღი  
კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნა-  
შნით.

ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებ-  
ბელი ქარხნის კოლექტივისათვის  
გასული წელი მეტად ნაყოფიერი  
ფყო, მაღალი შედეგებით დაამთავ-  
რეს სპორტული სეზონი კალათ-  
ბურთელებმა, რომლებმაც სპორტ-  
საზოგადოება „ლოკომოტივის“  
ამიერკავკასიის საგზაო კომიტე-  
ტის პირველობაზე გამარჯვება მო-  
იპოვეს და თასის მფლობელები

### მეოთხედწინაწლის კენჭისყრა

ვენაში გაიმართა უფვა-ს სხდო-  
მა, რომელმაც დაამტკიცა ფეხ-  
ბურთში ევროპის ჩემპიონთა თა-  
სის მეოთხედწინაწლის წყვილე-  
ბის კალენდარი.

მეოთხედწინაწლის ცენტრა-  
ლური შეხვედრა გერმანიის ფე-  
დერაციული რესპუბლიკის ჩემ-  
პიონ „ჰამბურგერ შპორტ ფრაი-  
ნიას“ და ინგლისის ჩემპიონს  
„ბერნლის“ შორის დაინიშნა 18  
ინვარსა და 15 მარტს. ჩემოსლო-  
ვაკის ჩემპიონი „სპარტაკი“ (ქ.  
ბრადე-კარლოვე) თავის მინდორ-  
ზე მიიღებს ესპანეთის ჩემპიონს  
„ბარსელონას“, 5 მარტს, ხოლო  
მეორე მატჩი გაიმართება ბარსე-  
ლონაში 15 მარტს. ავსტრიის ჩემ-  
პიონი „რაპიდი“ 22 მარტს ვენაში  
მიიღებს შვეიციის ჩემპიონ „მალ-  
გეს“, მეორე მატჩი 3 აპრილს გა-  
იმართება მალმეში. პორტუგალიის  
ჩემპიონი „ბენფიკა“ 8 მარტს  
ლისაბონში ითამაშებს დანიის ჩემ-  
პიონ „ორჰუსთან“. საბასუხო შე-  
ხვედრა გაიმართება 30 მარტს,  
უკვე შედგა მეოთხედწინაწლი-  
ური ტურის პირველი მატჩი. „ბერ-  
ლინი“ (ინგლისი) თავის მინდორ-  
ზე მიიღო ვფრ-ს ჩემპიონი „ჰამ-  
ბურგი“ და დაამარცხა იგი ანგა-  
რშით 3:1.

### პირველი ექტონები

„განთიადის“ საზეიმოდ მორთ-  
ულ სპორტულ დარბაზში რამდენ-  
იმე დღეს გრძელდებოდა ამ სა-  
ზოგადოების ცენტრალური საბჭოს  
პირველი პირადი შეჯიბრება მაგი-  
დის ჩოგბურთში. „პატარა ჩოგა-  
ნი“ მოყვარულებს იმედა არ გა-  
უტყუანა: ორთაბრძოლები პირ-  
მალვე შეხვედრებიდან დაწყებულ  
ფინალურ შეხვედრებამდე მე-  
ტად მძაფრ და-საინტერესო ხასი-  
დას ატარებდნენ.

და არა მხოლოდ ჩემპიონის ტი-  
ტულსათვის ბრძოლა ხდოდა ასეთ  
საინტერესოსა და დაძაბულ შე-  
ჯიბრებას, არამედ „განთიადის“  
პრეზიდიუმის მიერ ამას წინათ  
გამოშვებული ახალი ექტონის  
ფეხბურთის სურვილიც.

განსაკუთრებით ამაღლებული  
ფეხბურთის დედაქალაქის გ. სი-  
ჩხვას („ისინი“) და ი. ურკვეიჩის  
(საბრთავ-სტრიაკოტაეო კომპინა-  
ტი) შეხვედრა. ეს სპორტსმენები  
დამარცხებლად მოვიდნენ ერთ-  
მანეთთან შეხვედრამდე, რომელ-  
შიც ურკვეიჩმა განაცხადა პირვე-  
ლი დამარცხება, ხოლო სიჩხვამ  
მომოკა ჩემპიონის წოდება. სამა-  
გიდოდ, ურკვეიჩმა იმავე სიჩხვა-  
სთან ერთად პირველი ადგილი მო-  
იპოვა წყვილთა შორის შეხვედრა-  
ში. ვეჯთა შორის დაუმარცხებ-  
ლად განვილო ტურნირი ინიცირე-  
ბა. ი. ჩხაშვილმა, რომელიც ჩემ-  
პიონი გახდა არა მარტო ერთეუ-  
ლად ჩათვლაში, არამედ ვეჯთა  
და შერეულ წყვილთა შორის შე-  
ჯიბრებაშიც.

თბილისელმა მაგიდის ჩოგბურ-  
თელებმა, რომლებმაც გამარჯვე-  
ბა მოიპოვეს და „განთიადის“  
პირველი ექტონები მიიღეს,  
მეორე უნდა იზრდონ იმისათვის,  
რომ წარმატებით დაიციან ჩვენი  
დედაქალაქის სპორტული ღირსე-  
ბის საბჭოთა კავშირის პროფკავში-  
რთა VII სპორტკლავიდან.

**კოვალისი, რესპუბლიკის  
კლავი კატეგორიის მხაჯი.  
გ. ლარინაშვილი, სპორტის  
ოსტატი.**

მეზობელი

13 მაგვი, ულორიდა — ბიზნესი გრძელდება...

უკანასკნელი წელიწადნახევრის მანძილზე ამერიკის — და არა მარტო ამერიკის — სპორტული პრესა ორჯერ ახმაურდა პროფესიონალი მოკრივეების იუპანსონ-პატერსონის მატჩის გამო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაზე. მკითხველებმა კარგად იციან, რომ პირველი ამ მატჩთანაა მიიღო შედეგი იუპანსონმა და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ჩამოართვა ზანგ მოკრივეს, ხოლო მეორეჯერ — პატერსონმა რეგულარულად დაიკარგული ტიტულიც დაიბრუნა.

სულ ახლახანს პროფესიული კრივის სამყაროს და სპორტულ პრესას კვლავ მიეცა საკვები ახალი სენსაციისა და ბიზნესისათვის. „საუკუნის მატჩი — მესამეჯერ...“, „პატერსონი: ყოველ წუთში მზად ვარ შესამეჯერ შევხვედეთ იუპანსონს!“, „კანფერსონი — ოქროს წვიმის საღარიბო“ — ასეთი იყო ამ სენსაციისა და ბიზნესის გამოხატულება გაზეთების სათაურებში. ამ სათაურების გაშიფვრა უკვე მთელი ისტორიაა, რომელიც საიტის წათვლს ფენს. სახელდობრ: მატჩ-რეგულარული დამთავრების შემდეგ გამარჯვებულმა პატერსონმა თვითდაჯერებით განაცხადა, რომ იგი მზად არის ყოველთვის „თუნდაც ამ მომენტში“ შესამეჯერ შევხვედეთ იუპანსონს და დამტკიცოს თავისი უდავო უპირატესობა. ამ განცხადებას წამსვე ჩააფრინდნენ საქმისგან ამერიკელი მეჯიკერების ფირმიდან, რომლებსაც კარგად ახსოვდათ პატერსონ-იუპანსონის აღრიხდელი მატჩებიდან შემოსული ზღაპრული მოგება; მაგრამ, პატერსონიც ამჯერად ამოქმედდა პრინციპით: „სიტყვა-სიტყვა საქმე კი სხვაა...“.

რამდენიმე თვის განმავლობაში აკანაურებდა თავის ოფიციალურ თანხმობას მესამე მატჩზე იუპანსონთან. ჩვენთვის უცნობია, თუ კონკრეტულად რა გამოჩენას მიაღწია ამით აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ბოლოს საქმეში ჩაერია თვით მენაჯერთა ფირმის შვილი — ბ. ფაგაზი. და „საქმე“ მოგვარდა: პატერსონ-იუპანსონის მატჩი შედგება 13 მარტს, ფლორიდას შტატში. ქალაქ მაიაშიში, უზარმაზარ ღარბაში — „კან-

ფერსონ-პარკში“, რომელიც 16 ათას მაყურებელს უზრუნველყოფს. მატჩის მთლიანი ღირებულება 100 დოლარის გადახდა მოუხდება მატჩზე დასასწრებ თვითელ ბილეთში, ხუთათასს — 50 დოლარისა, ხოლო ოთხათასს — 20 დოლარისა. ასეთი ზღაპრული ფასები კიდევ არააობა ამ თანხასთან შედარებით, რასაც მატჩის ორგანიზატორები აიღებენ ტელე და რადიოტრანსმისციონდან. საერთო შემოსავალი, ფაგაზის აზრით, შეადგენს 4 მილიონ დოლარს.

1962 წელი

იოლი გზა

იტალიურ ფეხბურთის ყოველთვის საპატიო ადგილი ეკავა მსოფლიოში. ომამდე „სკუადრა აფურამ“ (იტალიური გუნდი) ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი მსოფლიო ჩემპიონატში. იტალიელებს სახელი მოუხვეჭა სწრაფმა, მრავალფეროვანი ტაქტიკური კომბინაციებით სავსე. „არტ-სტუდია“ ფეხბურთმა. მაგრამ უკანასკნელ ხანებში იტალიის ნაკრებს სულ უფრო უჭირს პირველხარისხოვან გუნდებთან თამაში და საქმე იქამდეც მივიდა, რომ იტალიელები ვერ მოხვდნენ მსოფლიოს VI ჩემპიონატის ფინალში. ამჯერად იტალიელთა გზა ფინალისაკენ შედარებით იოლია, ვინაიდან თამაშებზე მათს ქვეჯგუფში უარი განაცხადა რუმინეთის გუნდმა და დარჩა ორა მატჩი ისრაელ-ეთიოპიის გუნდებს შორის გამარჯვებულთან.

„უნიტას“ ფარცლებზე

ყოველი სეზონის წინ რომის გაზეთი „უნიტა“ ათავსებს პირველი ლიგის 18 გუნდის შემადგენლობას და უნდა ითქვას, ამ გუნდების შემადგენლობა სულ უფრო ჰრელდება, რაც იტალიის სპორტული საზოგადოებრიობის უკმაყოფილებას იწვევს. გუნდების უცხოელი „ვარსკვლავებით“ გავსება განადგურებას უქადის ვეროპულ ფეხბურთს. თავი რომ გავანებოთ თამაშის უცხოური სტილის გავრცელებას იტალიურ გუნდებში, ადგილი აღარ რჩება ეროვნული კადრებისათვის. ავიღოთ, მაგალითად, იტალიის მრავალჯერ ჩემპიონი „მილანი“. ამ გუნდის კაპიტანია შვედი ლიდოლომი (№ 5), მარცხენა გარემარბი — შვედი ბარისონი, ცენტრფორვარდი — ბრაზილიელი ალტაფინი; მილანის მეორე კლუბის — „ინტერნაციონალეს“ (ამ გუნდის აფრისებურა სახელი აიხსნება იმით, რომ იგი თავის დროზე ინგლისელებმა დაარსეს), მწვრთნელია არგენტინელი ე. ერერა. აქ თავდასხმის სამეულია, ფორმანი (№ 8) სამხრეთ აფრიკელია, არგენტინელი ანჯელიო (№ 9), შვედი ლინდსკოგი (№ 10). „ფორენტ-

უელსელთა ცნობილი ცენტრფორვარდი ჯონ ჩარლზი.

ჯუჯუა ვიანის მთავარი „კოზირი“

იტალიის ნაკრების მესვეურებმა ჯერ კიდევ ომამდე მოიწვიეს სამხრეთ ამერიკიდან იტალიური წარმოშობის ფეხბურთელები. უკანასკნელ ხანებში ამას უკვე მასობრივი ხასიათი მიეცა. მსოფლიოს VI ჩემპიონატის წინ ნაკრებში შეიყვანეს სკიადინო და მონტურო, მაგრამ ამ საკმაოდ ხანდაზმულმა მოთამაშეებმა გუნდს ვერაფერი უშველეს. ნაკრების ახალ მწვრთნელს — ჯუჯუა ვიანის ამჟამად ბევრად უფრო ხელსაყრელი ვითარება შეექმნა. იტალიის სხვადასხვა გუნდებში მრავალი საუცხოო ფეხბურთელი თამაშობს, რომელთა პასპორტის შეცვლა დიდ სიძნელეს არ შეადგენს, მით უმეტეს, რომ მათ „იტალიური სისხლი“ აქვთ. ასე შეიყვანეს ნაკრებში ლოიაკონო, მანფრედანი, ალტაფინი, ანჯელიო, სიგორი, ტაჩი და სხვანი. შეიძლება ამან გამოიწვიოს მითქმა-მოთქმა უცხოეთში, მაგრამ მწვრთნელი ამას ყურს აღ უვდებს. ამ ფეხბურთელებს იგი იტალიის მთავარ „კოზირს“ უწოდებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში.

„ატომური ხუთეული“

იტალიაში უძლიერესი მეკარეა ბულონი. მან ბოლო სამი წლის მანძილზე სამა საკლუბო გუნდი გამოიკვალა, მაგრამ ნაკრებში უცვლელი რჩება. დაცვაში ჯ. ვიანი სისტემატურ ექსპერიმენტებს აწარმოებს. ცენტრალური ნახევარცენტრის პოსტზე მან დააწინაურა სალვადორე, რომელიც ჯერ კიდევ ამ ვაზაფხულს მოყვარულთა რიგებში ირიცხებოდა და რომის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. მარჯვენა მცველის ადგილის პრეტენდენტი გამოცდილი სარტი, ხოლო დანარჩენ ადგილებზე მწვრთნელი ჯერ კიდევ აწარმოებს ახალი ტალანტების ძებნას. თავდასხმაში, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა იტალიელთა მთავარ ძალას, ასევე გრძელდება ძიებანი. მარჯვენა გარემარბად რამდენიმეჯერ ითამაშა 19 წლის ნიკოლე, თავის კლუბ „იუვენტუსში“ ნიკოლე ხშირად ცვლის ცენტრფორვარდ ჩარლზს და საკმაო კარგადაც. ნიკოლე ენერგული, აგრესიული ფორვარდი და საუკეთესო „სენაიბერია“. მისი პარტნიორი მარჯვნივ, პოპულარული ფეხბურთელი ბონიპერტი 31 წლისაა. იგი საუცხოო ფორმაშია და ჯერ არ ამირებს ასპარეზის დატოვებას. ბონიპერტის ტექნიკა იმდენად დახვეწილია, რომ ამ საკითხში იგი ტოლს არ უდებს არც ერთ ბრაზილიელ „ვარსკვლავს“. „ბონი“, როგორც მას გულშემოტკიცებები უწოდებენ, განუწყვეტლევ მოძრაობს კარიდან კარამდე. იმედებს იძლევა ახალგაზრდა ცენტრფორვარდი ბრიჯენტი, მაგრამ მას მალე მოუხდება ნაკრების დტო-

ვება, ვინაიდან ამ პოსტზე ჯ. ვიანი ყველაზე უფრო ღირსეულ პრეტენდენტად მიაჩნია ალტაფინი (მაიკოლა), რომელიც ჯერჯერობით ბრაზილიის მოქალაქედ რჩება. მალე იგი დაიკავებს ცენტრფორვარდის ადგილს, ხოლო ვიანის დრომდე სწავრობს „მაიკოლა გოლებს მოიტანოს“. მაიკოლას პარტნიორი მარცხენა იქნება ცნობილი ანჯელიო, რომელსაც დღემდე მისტირიან არგენტინელები. ცალკე უნდა შეგვჩვენოს მარცხენა გარემარბ პეტრისზე. როგორც ვეღვს ბრაზილიის „სანტოსის“ ტრიუმფალურად იმოგზაურა ვეროპულში, ყველა გააოცა მისმა მოუღონებელმა მარცხენა „ფორენტინასთან“ (0:3). სპორტულმა მიმოხილველმა ამის თაობაზე მიმართეს პელესს „შვემ მარცხენა“. თავიანთი მარცხენა მიზეზად იტალიელთა მარცხენა გარემარბი პეტრისი დასახელა. „ესაა ნამდვილი სპრინტერი განაცხადა პელემ. პეტრისი ყოველთვის უგებს თავის მცველს სისწრაფეში და ზუსტად აწოდებს კარს“. ამ თავდასხმას (ნიკოლე-ბონი) ტი-ალტაფინი-ანჯელიო-პეტრისი ვიანი „ატომურ ხუთეულს“ უწოდებს. ეს მართლაც დიდი ძალაა რუმინელთა უარმა იტალიელ მდგომარეობა შესარჩევ თამაშში სავრძობლად. შეამსუბუქა, ხოლო უცხოეთში გაზრდილი ტალანტი მითვისებამ გზა ჩილისაკენ უფრო იოლი გახადა.

ბ. გავრამაძე რედაქტორი ი. უგულაძე



25-29 იანვარი ბაკურიანი გაიმართება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები თხილამურებში, კობებისა და ფიგურულ სრიკლში

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპუტებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 30-34, გამომცემის — 3-01-06. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტა“ თბილისი, ლენინის ქ. № 14.